განმარტებითი ბარათი

ობიექტი წარმოადგენს შპს„ვითით"-ს სათფისე სავაჭრო ცენტრს. პროექტი შეთანხმებულია ქ.ბობილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ბრძანება №01/4005, 30.12.2011წ. და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მოწმობა.

მშენებლობის დროს მოხდა შემდეგი მცირე ცვლილებები კერძოდ:
„ლ-ა" ფასადზე გ-ბ მონაკვეთში მთელ სიმაღლეზე შეიცვალა ვიტრაჟის ნახატი, კარის წინ დაემატა მცირე ზომის პანდუსი;
+5,00 ნიშნულზე პანდუსის გვერდით კედელზე დაემატა ორი მცირე ზომის ღიობი და კოლონის ნაწილი გამოიწია წინ;
ფასადის წინ ა-ა ღერძის და პანდუსის კედლის გაგრძელებაზე დაემატა მცირე სიმაღლის კედლები და მასზე მოეწყო ცხაურის ტიპის ღობე;
„ა-დ" ფასადზე ა-ბ მონაკვეთში შეიცვალა ვიტრაჟის ნახატი;
„1-11*" ფასადზე დაემატა წვალშემკრები მილები;
1-2 მონაკვეთში დეკორატიული ნიშის ელიფსები წახნაგოვანია;
„11*-1" ფასადზე 2-1 მონაკვეთში ელიფსური ვიტრაჟი წახნაგოვანია;
შეიცვალა შუშების ტონის ფერი;
შეიცვალა ფასადებზე ალუკაბონდის ნახატი;
+0,00 ნიშნულზე 4-5 მონაკვეთში შემცირდა პანდუსის კედლის სიგრძე დაახლოებით 2,0მ-ით, ასევე შემცირდა პანდუსის სიგანე; 5-6 და ა**-ბ მონაკვეთებს შორის მოხდა ორი კოლონის ადგილმონაცვლება ა**-ა* ღერძისაკენ დაახლოებით 0,25მ-ით, ხოლო 9-11 მონაკვეთში ორი კოლონა ჩაიწია ბ-ბ ღერძისაკენ;
+5,00 ნიშნულზე 5-5 ღერძზე მოხდა ლითონის სვეტის ადგილ მონაცვლება მცირედ;
9-9 ღერძის გარეთ მოხდა ღობის კედლების ადგილმონაცვლება და დაემატა მცირე პანდუსი, ღობის ნაწილი კაპიტალურის ნაცვლად მოეწყო ცხაურის ტიპის;

1-1 ღერძის გარეთ მოეწყო მცირე სიმაღლის კედლები საგალი გზის მოწყობისათვის და 11-11 ღერძის გარეთ დამატებული მცირე ზომის პანდუსი საგალი გზის მოწყობისათვის.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩა უცვლელი.

პროექტის მთ. არქიტექტორი ვ.ქესხი